დანართი 9

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

<u>დამტკიცებულია:</u>

სასწავლო ცენტრის დირექტორის მინდობილი პირი

(მინდობილობა N#230037196):

დავით მაზმიშვილი

29/02/ 2024 წ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის დებულება

თბილისი 2024

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ (შემდგომში - "კოლეჯი") საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა საქმეთა სამსახური (შემდგომში - "სამსახური") წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებით და კოლეჯის სხვა ნორმატიული აქტებით.

1.2. სამსახური ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. სამსახურის მიზანი:

2.1.1. საზოგადოებაში კოლეჯის ცნობადობის ამაღლების უზრუნველყოფა;

2.1.2. კოლეჯის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

2.1.3. კოლეჯის სტუდენტურთა სპორტული, შემოქმედებითი და მათი თავისუფალი დროის მენეჯმენტთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობა.

2.2. სამსახურის ამოცანები:

2.2.1. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა კარიერული განვითარების/დასაქმების პოლიტიკისა და ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება-გატარება;

2.2.3. სტუდენტთა სპორტული, შემოქმედებითი და სხვ. აქტივობების ორგანიზება;

2.2.4. კოლეჯის საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება-გატარება;

2.3. სამსახურის ფუნქციები:

2.3.1. კოლეჯის საქმიანობის შესახებ ბეჭდური და ელექტრონული საინფორმაციო მასალების მომზადება და სარეკლამო-საინფორმაციო უზრუნველყოფა;

2.3.2. მედიაკამპანიის სტრატეგიის განვითარება;

2.3.3. აქტიური თანამშრომლობის დამყარება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან და სხვა დამსაქმებლებთან;

2.3.4. კოლეჯში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების, აგრეთვე კოლეჯის კურსდამთავრებულთა, სტუდენტებისა და პერსონალის მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

2.3.5. კოლეჯის სტუდენტურთა სპორტული, შემოქმედებითი და მათი თავისუფალი დროის მენეჯმენტთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინირება;

2.3.6. კურსდამთავრებულთა კოლეჯის ცხოვრებაში ინტეგრაციის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

2.3.7. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოვება;

2.3.8. საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება;

2.3.9. კოლეჯის ვებგ-ვერდის და სოციალური მედია არხების მართვა, განვითარება და ამ კუთხით კოლეჯის სტუქტურული ერთეულების აქტივობის ხელშეწყობა-კონსულტირება;

2.3.10. აბიტურიენტების მოზიდვის კამპანიის წარმართვა;

2.3.11. დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზება და დამსაქმებელთა ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნა;

2.3.12. სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა შრომის ბაზრის დინამიკის და მოთხოვნების თაობაზე;

2.3.13. კარიერული განვითარების მიზნით სტუდენტების კონსულტირება, სწავლებების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;

2.3.14. სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირის უზრუნველყოფის მიზნით თემატური ღონისძიებების, დასაქმების ფორუმების და სხვ. ორგანიზება;

2.3.15. შშმ და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობა;

2.3.16. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების თაობაზე გამოკითხვებისა ჩატარება, ანალიზი და შედეგების წარდგენა.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1. სამსახური კოლეჯის დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

3.2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

3.3. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3.4. სამსახურის უფროსი:

3.4.1. წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

3.4.2. უზრუნველყოფს სამსახურის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას;

3.4.3. კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებს შემოსულ კორესპონდენციაზე და ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

3.4.4. შეიმუშავებს სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებებს და სახავს შესაბამის ღონისძიებებს;

3.4.. სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს რექტორს.

მუხლი 5. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1 სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილებით და კოლეჯის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

6.1. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის კოლეჯის საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების გზით.